ნუ შეურაცხყოფთ გარდაცვლილებს, რადგან მათ უკვე მიიღეს ის, რაც დაიმსახურეს

აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ნუ შეურაცხყოფთ გარდაცვლილებს, რადგან მათ უკვე მიიღეს ის, რაც დაიმსახურეს».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს გარდაცვლილთა შეურაცხყოფის და მათი ღირსების შელახვის აკრძალვას. ეს ცუდი ზნეობის ერთ-ერთი ნიშანია, რადგან გარდაცვლილებმა უკვე მოიპოვეს ის, რასაც თავისმა კეთილმა თუ უკეთურმა საქმეებმა მიუსაჯა. ამასთან, მათი გაკიცხვა მათამდე არ აღწევს, ის მხოლოდ ცოცხლებს ავნებს.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/5364